ხელშეკრულება № 01/57

ქ.თბილისი **04.04.2011წ.**

ერთის მხრივ **"საჯარო სამართლის იურიდიული პირი ილია ვეკუას სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი"** შემდგომში – "დამკვეთი", დირექტორის გურამ ბოკუჩავას სახით და მეორეს მხრივ **შპს "გიორგიწმინდა 1"** შემდგომში "შემსრულებელი", მისი დირექტორის გორჯასპი მთვარაძის სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია:
სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულება (ხარჯთაღრიცხვის დანართის მიხედვით).

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 4466 (ოთხი ათას ოთხას სამოცდაექვსი) ლარს. დღგ-ს და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

3. ხარისხი და გარანტია

3.1 შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის და რემონტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. ხელშეკრულების შესრულების ვადები, ადგილი და პირობები

4.1 ხელშეკრულების შესრულების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.
4.2 ხელშეკრულების შესრულების ადგილია: ქ.თბილისი მინდელის ქ.№7.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 „დამკვეთს" უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესრულებული სამუშაოების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირიბებთან.
5.2 „დამკვეთი" ვალდებულია:
-მოახდინოს ანგარიშსწორება "შემსრულებელთან" ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
5.3 „შემსრულებელს" უფლება აქვს:
- მოსთხოვოს „დამკვეთს" შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით,
5.4 "შემსრულებელი" ვალდებულია
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

6. შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესრულებული სამუშაოს მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება „დამკვეთისა" და „შემსრულებლის" მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა

7.1 „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

7.2 ხელშეკრულების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ხარჯთაღრიცხვისა და ანგარიშფაქტურის საფუძველზე, ხელშეკრულების ხელმოწერიდან 3 სამუშაო დღეში.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელსეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მახარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საეთო ღირებულების 0,1% ოდენობით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე.

10. ფორს-მაჟორი

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

10.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12 სხვა პირობები

12.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
12.2 არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
12.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავინთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
12.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„დამკვეთი“	„შემსრულებელი“
სსიპ ი. ვეკუას სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი მისამართი: ქ.თბილისი, ყაზბეგის 15 ს/კ 249250821 “ვი-თი-ბი“ ბანკი ჯორჯია კოდი: **UGEBGE22** ა/ა №313408	შპს “გიორგიწმინდა I” მისამართი: ქ. თბილისი, გულიას ქ. №1 ს/კ 238134201 სს “ვითიბი ბანკი ჯორჯია” კოდი: 220101615 ა/ა GE43VT66 0000 0003 073605
დირექტორი: **გურამ ბოკუჩავა**	დირექტორი **გორჯასპი მთვარაძე**